

EMC ტყიბულის შახტების შესახებ აუდიტის დასკვნას აფასებს

ბოლო წლებში, ტყიბულში განვითარებულმა მოვლენებმა, საწარმოო შემთხვევების განმეორებითობამ და სახელმწიფოს პასიურობამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ უმეტესწილად, დასაქმების ადგილებზე შრომითი უსაფრთხოების წესების დაცვა სახელმწიფოსა და კერძო ბიზნეს შორის მოლაპარაკებების საგანია და არა სახელმწიფოს მიერ მშრომელთა ჩართულობით და მათი ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფილი ვალდებულება.

2018 წელს, ტყიბულში ქვანახშირის მოპოვებასთან დაკავშირებულ საწარმოო შემთხვევებს 10 მეშახტე შეეწირა, ხოლო 9-ზე მეტი მძიმედ დაშავდა. ტყიბულში დატრიალებული საწარმოო შემთხვევების ქრონიკა ცხადყოფს, თუ რამდენად სისტემურად დგას შრომითი უსაფრთხოებისა და ღირსეული სამუშაო გარემოს საკითხები ქვეყანაში. 2018 წლის 5 აპრილს მომხდარმა ტრაგედიამ, რომელსაც [6 ა და მ ი ა ნ ი ე მ ს ხ ვ ე რ ჯ ლ ა](#), საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. 6 აპრილი ტყიბულში გლოვის დღედ გამოცხადდა, ხოლო არასამთავრობო და შრომითმა ორგანიზაციებმა წამოაყენეს [მ ო თ ხ ო ვ ნ ა](#) მინდელის შახტის N 1 უბანზე საწარმოო პროცესის შეჩერებისა და უსაფრთხოების ზომების ინსპექტირების მიზნით ფართომასშტაბიანი კვლევითი სამუშაოების ჩატარების შესახებ. აღნიშნულის მიუხედავად, ტყიბულის შახტებზე სამუშაო პროცესი მხოლოდ დროებით შეჩერდა შრომის ინსპექციის მიერ საგამოძიებო საქმიანობის ჩასატარებლად. უბედური შემთხვევის მიზეზად თავდაპირველად სამთო დარტყმა, ხოლო მოგვიანებით [ა და მ ი ა ნ უ რ ი ფ ა ქ ტ ო რ ი ს ა ხ ე ლ დ ე ბ ო დ ა](#).

აღნიშნული შემთხვევიდან დაახლოებით სამ თვეში, მინდელის შახტის იმავე უბანზე კიდევ 4 მეშახტის სიცოცხლე [შ ე ე წ ი რ ა ს ა წ ა რ მ ო ჲ პროცესს](#). EMC აღნიშნულ საქმეში სამართლებრივ დახმარებას უწევდა ერთ-ერთი გარდაცვლილის ოჯახს. სამწუხაროდ, გამოძიების ფარგლებში ჯეროვნად არ იქნა შესწავლილი და შეფასებული ის საკითხები, რომლებსაც შესაძლოა, შახტის მმართველი მენეჯმენტის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრაზე მოეხდინა გავლენა. ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა შრომის პოლიტიკისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩავარდნა და შრომითი უსაფრთხოების სფეროში არსებული სისტემური გამოწვევები.

ტრაგედიაზე პასუხად, გამოძიების დასრულებამდე და შახტის ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებამდე, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით შახტების მუშაობა შეჩერდა. იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ ტყიბულის მოსახლეობა ძირითადად შახტებზეა დასაქმებული და მათი ფუნქციონირება ქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, შახტების დალუქვის მიუხედავად, სახელმწიფომ იქ დასაქმებული ყველა მშრომელისთვის არსებული ანაზღაურების შენარჩუნების გ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა ა ი ლ ო მანამ, სანამ ტყიბულში საწარმოო პროცესი არ განახლდებოდა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მოიწვია გერმანული კომპანია DMT GmbH&Co.KG, რომელსაც უნდა შეეფასებინა მინდელის შახტში არსებული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები, გაეცა რეკომენდაციები რისკის შემცირებისა და სისტემური კონტროლის მექანიზმებზე და წ ა რ მ ო ე დ გ ი ნ ა ჯ ა ნ მ რ თ ე ლ ო ბ ი ს ა და უ ს ა ფ რ თ ხ ო ე ბ ი ს
გ ა უ მ ჯ ო ბ ე ს ე ბ ი ს კ ო ნ ც ე ფ ც ი ა .

აღსანიშნავია, რომ მინდელის შახტის აუდიტის ანგარიში მზად იყო 2019 წლის იანვარში, თუმცა ის მხოლოდ დეკემბერში, 11 თვის შემდეგ, გახდა ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისათვის. ტყიბულელებისთვის, მათ შორის შახტში მომუშავე ადამიანებისთვის, დასკვნის შინაარსი დღემდე უცნობია, რაც სახელმწიფოსა და კომპანიის მხრიდან დასაქმებულთა ინტერესის უგულვებელყოფაზე მიუთითებს. ქალაქის მაცხოვრებლებმა, დასაქმებულებმა და ფართო საზოგადოებამ დღემდე არ იციან, არსებობს თუ არა გეგმა, რაც სახელმწიფოსა და კომპანიის შემდგომ ნაბიჯებს მოიცავს და პასუხს გასცემს მთავარ შეკითხვას, თუ რა ბედი ელის ტყიბულს. თავად დასკვნა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ავტორებიც აღიარებენ, არ არის სრულყოფილი და ხშირად ზედაპირულობის განცდას ტოვებს, წლების განმავლობაში უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების არარსებობის მიმართ სახელმწიფოს სიბრმავეს და კომპანიის უპასუხისმგებლობას ნათლად ავლენს.

სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს დასკვნის რეკომენდაციები, გააცნოს დასკვნის შედეგები დაინტერესებული პირებს, - პირველ რიგში, მეშახტეებს, - სრულყოფილი სურათის შესაქმენლად ჩაატაროს დამატებითი კვლევები, დასაქმებულებთან ერთად დასახოს და დროში გაწეროს რეკომენდაციების გათვალისწინების გეგმა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება შახტების ფუნქციონირების აღდგენის თაობაზე.

მიმდინარე წლის სექტემბერში, დასაქმებულთათვის ხელფასების დაგვიანების გამო [გამართულმა სობრივ პროტესტს](#), ოქტომბერში ტყიბულის შახტების ახალი კომპანიის ხელში გადასვლა მოჰყვა. მთავრობის მხრიდან [გაკეთდა განცხადებები](#) იმის თაობაზე, რომ ახალი კომპანია განაახლებდა ქვანახშირის მოპოვებას და ასევე დაიცავდა უსაფრთხოების სტანდარტებს. EMC-ის ინფორმაციით, ახალი კომპანიის ხელში ნახშირმოპოვებითი საქმიანობა ნაწილობრივ აღდგენილია ისე, რომ უცნობია რამდენად გათვალისწინებულია დასკვნის რეკომენდაციები.

აუცილებელია, ნახშირმოპოვებითი სამუშაოები შეჩერდეს და დაიწყოს კონსულტაციების ფართო და მონაწილეობითი პროცესი, რომელშიც პირველ რიგში დასაქმებულები იქნებიან ჩართულობები. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებული იყოს შახტებში დასაქმებული ადამიანების ხელფასები. შრომის უსაფრთხოების კუთხით გასატარებელი ღონისძიებების გარდა, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში მონო-ინდუსტრიული ქალაქების, მათ შორის ტყიბულის მიმართ, ალტერნატიული ეკონომიკური განვითარებისკენ შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა. მეშახტეებს სიცოცხლისთვის საფრთხისშემცველ პირობებში მუშაობა იმიტომ უწევთ, რომ მათთვის შახტში დასაქმება შემოსავლის ერთადერთი წყაროა. ტყიბულში დასაქმების ალტერნატიული წყაროების არარსებობა მეშახტეებს კომპანიის ტყვეობაში აქცევს, სადაც მათ, როგორც დასაქმებულებს, საკუთარი მოთხოვნების დაყენება და საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა განსაკუთრებით უჭირთ. საქართველოს მთავრობამ უნდა გაიაზროს ტყიბულში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე საკუთარი პასუხისმგებლობა და დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები რეგიონის მოსახლეობისა და დასაქმებულთა სოციალური უსაფრთხოებისათვის, ხოლო მანამდე უზრუნველყოს, რომ რეალური ალტერნატივების არმქონე მშრომელებს, ყოველდღიურად, საკუთარი სიცოცხლის და ჯანმრთელობის რისკის ქვეშ დაყენება არ უწევდეთ.

საწყის ეტაპზე ტყიბულ-ნახშირის შესახებ DMT ჯგუფის [დასკვნის მიზანი](#) “საინჟინრო შეფასების” მომზადება იყო იმის შესახებ, თუ რა სახის ტექნოლოგიური გადაიარაღება იქნებოდა საჭირო შახტების მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თუმცა, დროთა განმავლობაში ეს მიზნები [მოდიფიცირდა](#) და საწარმოს განვითარების შესახებ გრძელვადიანი მიზნის შემუშავების კომპონენტიც მოიცვა. უკანასკნელი განცხადებების თანახმად კი, საექსპერტო კომპანიას უკვე

გამოქვეყნებულ დასკვნასთან ერთად, [ასევე დაევალ](#) წარმოების ახალი ადგილების შესახებ დასკვნის მომზადება და ტყიბულ-ნახშირის საექსპლუატაციო გეგმის შემუშავება, ახალი საინვესტიციო კომპანიის მიერ განხორციელებული ტექნოლოგიური გაუმჯობესების მონიტორინგი და უსაფრთხო შრომის შესახებ განაზღვრული ანგარიშების მომზადება.

დასკვნის ავტორები 2018 წელს მომხდარ ფატალურ ინციდენტებს ადგილზე შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე აანალიზებენ და იმ აშკარა ჩავარდნებზე მიუთითებენ, რაც მათ მაგალითზე გამოვლინდა. საგულისხმოა, რომ დასკვნის ავტორების აზრით, 2018 წლის ფატალური ინციდენტების თავიდან აცილება შესაძლებელი იყო.¹ თუმცა DMT-ის დასკვნაში გამოვლენილი პრობლემები უშუალოდ 2018 წელს მომხდარი ფატალური შემთხვევების მიზეზებს სცდება.

რისკის შეფასება და მენეჯმენტი

დასკვნის ავტორები მიუთითებენ, რომ რისკის მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად პირველი ნაბიჯი უნდა იყოს საფრთხეების იდენტიფიცირება, რომლებიც ძალიან მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ინკლუზიური პროცესის შედეგად შემუშავდეს წესები, რომლებიც იქნება პრაქტიკული და აღსრულებადი. მესამე ნაბიჯია შემოწმება. სანამ ახალი წესები შემუშავებულია, ორივე მხარე უნდა იყოს ადგილზე, რომ გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს მოხდეს წესების შეცვლა. ამასთან, შემოწმება უნდა ხდებოდეს რეგულარულად და მუდმივად. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სამუშაოს განაზღვრა.²

ასევე, ყველას უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების მკაფიოდ განსაზღვრული ფარგლები, რასაც შუქნიშნის პრინციპი ეწოდება. თითოეულ საფრთხეზე უნდა იყოს განსაზღვრული მოქმედების კონკრეტული გეგმა - არსებული სიტუაციის გამოსწორება (მსუბუქ შემთხვევებში) ან სამუშაოების შეჩერება. ადგილზე სამუშაოების ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს ძალიან ზუსტი მითითება მენეჯმენტისაგან, თუ რა ფარგლებში შეუძლია გაუმკლავდეს ახალ საფრთხეებს და როდის შეაჩეროს პროცესი.³

¹ DMT-ის დასკვნა, გვ. 53

² DMT აუდიტის ანგარიში, გვ.29.

³ DMT აუდიტის ანგარიში, გვ. 32.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რასაც ანგარიშში ყურადღება ეთმობა არის ის, რომ მინდელის შახტზე არ ხდებოდა ინციდენტების დაფიქსირება სრულად და მათი გამოძიება, რაც ინფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული წყაროა მომავალში შემთხვევების თავიდან ასარიდებლად. დაფიქსირებული ინციდენტები ძირითადად მძიმე შედეგით დასრულებულ შემთხვევებს უკავშირდება, რომელთა იგნორირებაც შეუძლებელია. შედარებით მსუბუქი ინციდენტები კი არ იქნა აღრიცხული და ხელიდან იქნა გაშვებული შესაძლებლობა დანერგილიყო უფრო უსაფრთხო სისტემები, რასაც მომავალში შეუძლია თავიდან აიცილოს ფატალური შემთხვევები.⁴

DMT ანგარიშში აღნიშნავს, რომ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს თითოეულ დასაქმებულს. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი კი უნდა განსაზღვრავდეს კონკრეტულად ვის რა პასუხისმგებლობა აკისრია. დოკუმენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტური, თუ რეგულარულად გადაიხედება, საჭიროებების მიხედვით, მინიმუმ, წელიწადში ერთხელ. ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორგანო კი მომუშავე ჯგუფებთან ერთად უნდა მუშაობდეს.⁵

ავარიული შემთხვევების მენეჯმენტისთვის მნიშვნელოვანია უპირველეს ყოვლისა ხდებოდეს ასეთი შემთხვევების თაობაზე განცხადება და ინფორმაციის შენახვა. ამის უპირველესი გზაა მეშახტეების მიერ პირველადი დახმარების პუნქტების გამოყენება, რაც წახალისებული უნდა იქნას. საკმარისი რაოდენობის დასაქმებულები ასევე უნდა გადამზადდნენ პირველად დახმარებაში.⁶

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ტრენინგი

ანგარიშში ნათქვამია, რომ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ტრენინგი უნდა იყოს სწავლების განუყოფელი ნაწილი და არა ცალკე მოდული. მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგმა არ დატოვოს რამე გაურკვეველი, რაც მომავალში არასწორ ქმედებებში შეიძლება აისახოს. სწავლებას ტყიბულის მინდელის შახტში საჭიროებს ყველა, მათ შორის, მენეჯმენტი. ტრენინგი სჭირდება როგორც ახალ, ისე გამოცდილ პირებს, რომლებთან სწავლებაც უფრო ორმხრივი კომუნიკაციის ფორმით შეიძლება მოხდეს.

⁴ DMT აუდიტის ანგარიში, გვ. 42.

⁵ DMT აუდიტის ანგარიში, გვ. 45.

⁶ DMT აუდიტის ანგარიში, გვ.47-48.

ამასთან, გამოცდილი პირებთან განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იქნას მიმართული იქითკენ, რომ სწავლება მისაღები და საინტერესო გახდეს მათთვის.⁷ ამასთან, მეშახტეები ჩართულები უნდა იყვნენ ტრენინგის შემუშავებაში, რადგან მათ ყველაზე უკეთ იციან პროცესი და მნიშვნელოვანია მათი ყველა წუხილი გათვალისწინებულ იქნას.⁸

სწავლების დასრულებისას, პრაქტიკაში უნდა შემოწმდეს, რომ ტრენინგი წარმატებული იყო, მათ შორის ადგილზე სამუშაოების მონიტორინგის გზით. ამასთან, ტრენინგი არ უნდა იყოს ერთჯერადი და ის უნდა ვითარდებოდეს საწარმოო პროცესთან ერთად.⁹

შახტში არსებული უსაფრთხოების მდგომარეობა

ზოგად მითითებებთან ერთად, დასკვნა დეტალურად აღწერს უსაფრთხოების მისაღებ ზომებს საამფეთქებლო სამუშაოების, ვენტილაციის, ხანძრისა და აფეთქებისაგან დაცვის, სავალი გზის შეკეთების, სამთო დარტყმების და ბუნებრივი აირის აფეთქებების დროს.

DMT-ის დასკვნის თანახმად, პრობლემები იკვეთება ვენტილაციის სისტემის კუთხით, რის გამოც არ ხდება მეთანის შესაბამისი განზავება, რამაც ხელი შეუწყო აფეთქებებს. ამასთან, პრობლემები ფიქსირდება აირების გამოყოფის მონიტორინგის მხრივ. მონიტორინგთან ერთად, შესაძლებელია ასევე მოხდეს მეთანის გამოტუმბვა და მისი ენერგიის წარმოებისათვის გამოყენება, რაც შეამცირებს აალების საფრთხეს. მნიშვნელოვანია, რომ აფეთქების საწინააღმდეგო დამცავი ბარიერები, როგორიცაა წყლის ბარიერები, საკმარისად დამონტაჟდეს, რადგან დღეს არსებული არ შეესაბამება სტანდარტს. ასევე, შახტა არაა გამართული ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებით; თვითგადარჩენის ხელსაწყო არ შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტს, რომელიც ითვალისწინებს, რომ ჟანგბადი 45 წუთის განმავლობაში უნდა იყოს საკმარისი რაობა მეშახტემ შეძლოს ყველაზე შორეული წერტილიდანაც უსაფრთხო ადგილას გამოსვლა.¹⁰

მნიშვნელოვანი იქნება გზების შეკეთება, ვინაიდან დღეს მათი ნაწილი ცუდ მდგომარეობაშია. საჭირო იქნება როგორც ახალი მხარდამჭერი კონსტრუქციების

⁷ DMT აუდიტის ანგარიში, გვ.50.

⁸ DMT აუდიტის ანგარიში, გვ.52.

⁹ DMT აუდიტის ანგარიში, გვ. 54.

¹⁰ DMT აუდიტის ანგარიში, გვ.76-79.

დამონტაჟება, ისე ძველი კონსტრუქციების გამოცვლა, რომელიც თავადაც უსაფრთხო მეთოდით უნდა მოხდეს.¹¹

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ქვანახშირის მოპოვების დღეს არსებული მეთოდი საკმაოდ შრომატევადი და რისკის შემცველია, DMT სთავაზობს კომპანიას ქვანახშირის მოპოვების ალტერნატიულ მეთოდებზე გადასვლას, რომლებიც იქნება მექანიზებული და მეტად უსაფრთხო მეშახტეებისათვის. დასკვნაში რამდენიმე ასეთი მეთოდია აღწერილი, ტყიბულის შახტის თავისებურებების გათვალისწინებით.¹²

ანგარიშის ბოლოს სამოქმედო გეგმაა მოცემული, რომელიც მოკლე, საშუალო და გრძელვადიან აქტივობებად არის დაყოფილი და მათი განხორციელება შესაძლებლობას მისცემს შახტას, რომ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომები შახტაში მისაღებ დონემდე გაუმჯობესდეს.

დასკვნაში არა მხოლოდ კომპანიასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა, არამედ სახელმწიფო პოლიტიკის ჩავარდნებიც იკვეთება. დასკვნის ავტორების თქმით, რეგულაციები ხშირად ბუნდოვანია და პირად უსაფრთხოებაზე კონცენტრირდება. ავტორებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ კანონმდებლობა სამთო-მოპოვებით საქმიანობას სათანადოდ ვერ არეგულირებს.

DMT-ის თანახმად, სამუშაოები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა განახლდეს, თუ რისკის შემცირება მოხდება მისაღებ ნიშნულამდე, რაც გულისხმობს, რომ რისკი ისეთი მცირეა, რომ ის თითქმის არ არსებობს. ეს ეხება არა მხოლოდ აფეთქებას, არამედ უსაფრთხოების ნებისმიერ სხვა საკითხს შახტაში. ამასთან, რისკების შეფასება მუდმივი პროცესია, ვინაიდან გარემოებები შეიძლება შეიცვალოს და, შესაბამისად, გაიზარდოს ან შემცირდეს საფრთხის რისკი. ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში ხელახლა უნდა მოხდეს რისკების შეფასება და მისი მინიმუმამდე შემცირება.

მიუხედავად იმისა, რომ დასკვნა მინდელის შახტის შესახებ მნიშვნელოვან და აქამდე ფართო საზოგადოებისთვის უცნობ ინფორმაციას შეიცავს, ის მდგომარეობის სრულყოფილ შეფასებად ვერ ჩაითვლება. პირველ რიგში ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ დასკვნის ავტორებს მოპოვების პროცესი არ უნახავთ - მათი ვიზიტისას მოპოვება ადგილზე უკვე შეჩერებული იყო. ამიტომ ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი,

¹¹ DMT აუდიტის ანგარიში, გვ.83.

¹² DMT აუდიტის ანგარიში, გვ. 107-117.

რომლის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება მხოლოდ მუშაობის პროცესშია შესაძლებელი, ვერ შეაფასეს. ავტორები საუბრობენ იმაზეც, რომ მათი ვიზიტისთვის შახტში საგანგებოდ ემზადებოდნენ, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ მათ დასკვნაში აღწერილი რეალობა შახტის სამუშაო ყოველდღიურობისგან შორსაა.

დასკვნა არასრულია იმიტომაც, რომ სრული და სანდო ინფორმაცია ავტორებისთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა. მათთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის ნაწილი, მათ შორის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მასალა, ინგლისურ ენაზე ვერ მოიძებნა. ავტორებმა ვერც არსებული კანონმდებლობის სრულყოფილად შეფასება შეძლეს, რადგან მისი ინგლისური ვერსია მათთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა.

არასრულად უნდა ჩაითვალოს დასკვნის ის ნაწილიც, რომელიც 2018 წლის ფატალურ ინციდენტებს ეხება. ავტორებს ინციდენტების დამოუკიდებელი გამოძიება არ ჩაუტარებიათ და მათი შეფასებისას დიდწილად კომპანიის წარმომადგენლების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობიან. კომპანიის მიერ მიწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს შახტში წლების მანძილზე მომხდარი ინციდენტების შესახებ დასკვნის ავტორები ეჭვქვეშ აყენებენ და წერენ, რომ ამ ინფორმაციის საფუძველზე მათ ინციდენტების გამომწვევ მიზეზთა შესახებ საუბარი უჭირთ.

ინციდენტის გამომწვევ მიზეზთა განხილვისას, ავტორები დასკვნის დიდ ნაწილს პირადი უსაფრთხოების საკითხებს უთმობენ. აუცილებლად მიგვაჩნია იმის ხაზგასმა, რომ კომპანიისა და სახელმწიფოს წილი პასუხისმგებლობა მინდელის შახტში უსაფრთხო სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად დასაქმებულების ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას მნიშვნელოვნად აღემატება. მიუხედავად იმისა, რომ დასკვნა მეშახტეების ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას რამდენიმე ქვეთავს უთმობს, მისი ძირითადი მიგნებები, ადგილზე არსებული გაუმართავი და საფრთხისშემცველი ინფრასტრუქტურისა და მოპოვების პროცესის შესახებ კომპანიას მიემართება - გამართული მიწისქვეშა ტრანსპორტის, ეკიპირებისა და სათანადო სამუშაო პლატფორმების მოწყობა ცხადია დასაქმებულის პასუხისმგებლობა ვერ იქნება. ხაზგასასმელია ისიც, რომ დასკვნაში საუბარია ისეთ დარღვევებზეც, როგორიცაა სახელდახელოდ მოწყობილი განათება სამუშაო პლატფორმებთან, რომლის გამოსწორება მნიშვნელოვან ფინანსურ სახსრებს არ უკავშირდება. ასეთი პრობლემების მოუგვარებლობა კომპანიის მიდგომების მიმართ დამატებით კითხვებს აჩენს.

დასკვნის საფუძველზე კითხვები ჩნდება სახელმწიფოს დამოკიდებულებაზეც, რომელიც წლების მანძილზე მინდელის შახტში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ან არ ფლობდა ან მასზე სათანადოდ არ რეაგირებდა. გაუგებარია, რატომ არ გამოვლინდა DMT-ის ექსპერტების მიერ აღწერილი ღრმა და საფრთხისშემცველი პრობლემები მათ ვიზიტამდე, ხოლო თუ შახტის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო უწყებებისთვის ცნობილი იყო, გაუგებარია, რატომ არ დადგა მათი გადაწყვეტა დღის წესრიგში უფრო ადრე.

ჯერჯერობით გაუგებარია რა დასკვნები გამოიტანეს სახელმწიფო უწყებებმა DMT-ის ექსპერტების მიერ მომზადებული კვლევიდან. პრობლემურია ისიც, რომ კვლევა, რომელიც მათთვის ხელმისაწვდომი 2019 წლის იანვრიდან გახდა, ჯერაც არ გამხდარა ფართო დისკუსიის საგანი არც ექსპერტთა შორის - როგორც ამას დასკვნა ითვალისწინებდა - და არც უშუალოდ ტყიბულში. უცნობია, რა შეიცვლება სახელმწიფო უწყებების მუშაობაში დასკვნაში შეგროვებული ინფორმაციისა და რეკომენდაციების მიხედვით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, EMC მოუწოდებს საქართველოს მთავრობას:

- არ დაუშვას შახტებში ნახშირმოპოვებითი სამუშაოების განახლება და დაუყოვნებლივ შეაჩეროს ნაწილობრივ აღდგენილი სამუშაოები დასკვნაში მითითებული რეკომენდაციების შესრულებამდე;
- DMT-ის აუდიტის ანგარიში ხელმისაწვდომი გახდეს ტყიბულის შახტში დასაქმებული და ყველა სხვა დაინტერესებული პირებისათვის, მათ შორის ანგარიშის მეშახტეებისათვის წარდგენის და მისი ქართულ ენაზე გამოქვეყნების გზით; ასევე, დაიწყოს აქტიური შეხვედრები ადგილობრივებთან დასკვნის განხილვის მიზნით, შეიქმნას მონაწილეობითი პროცესი და ადგილობრივების აქტიური ჩართულობით შემუშავდეს შახტის განახლების გეგმა.
- იმის გათვალისწინებით, რომ ჩატარებული კვლევა ზემოთნახსენები მიზეზების გამო ვერ ჩაითვლება სრულყოფილად, მოპოვების გაგრძელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მისაღებად ჩატარდეს დამატებითი

გეოლოგიური, საინჟინრო და ეკოლოგიური კვლევები, რომელიც საწარმოო პროცესთან დაკავშირებულ რისკებს სრულად შეაფასებდა.

- რეგულარულად მოხდეს ტყიბულის შახტების დასაქმებულთა, დაინტერესებულ პირთა და ასევე ფართო საზოგადოების ინფორმირება შახტში მიმდინარე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სამუშაოებთან და ანგარიშში მითითებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით;
- ნახშირმოპოვებითი სამუშაოების განახლებამდე დასაქმებულები სრულად იქნან უზრუნველყოფილნი ხელფასებით;
- ადგილობრივი ხელისუფლების, რეგიონის მოსახლეობისა და დაინტერესებული აქტორების ჩართულობით წარმოადგინოს ტყიბულის ალტერნატიული ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომელიც დაეფუძნება რეგიონის შესაძლებელობებს, გაითვალისწინებს მოსახლეობის ინტერესებს და იქნება მათი სოციალური უსაფრთხოების გარანტი.